

ერთი შეკითხვის ისტორია¹

ამჟამად ზაგრებში მცხოვრები სერბი მწერალის მილოშ არმიჩის დეტექტიურ რომანში "New Grave Word" მოქმედება ხდება სერბეთის არმიის მიერ კონტროლირებულ კოსოვოს ნაწილში. რომანის სიუჟეტი ტელესერიალ "კოლომბო"-სავით ვითარდება: დასაწყისში აღწერილია მკვლელობა, შემდეგ ირკვევა, თუ როგორ იგეგმებოდა იგი. ბოლოს ვიგებთ მკვლელობის მოტივს. შემთხვევათა ამ სამი ბლოკის გადმოცემის ფონია სამხედრო პოლიციის მიერ წარმოებული გამოძიება. ამ, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი და თანამედროვე რომანის კითხვისას მკითხველი აღმოაჩენს, რომ გადმოცემული შემთხვევების მიმდევრობა ლიტერატურული ხერხი კი არაა, რეალური ვითარების აღწერა; რომანი გვიყვება ამბავს, სადაც ჯერ ხდება მკვლელობა, შემდეგ ამ მკვლელობის დაგეგმვა და მკვლელების მიერ საკუთარი გამოაშკარავების შესაძლებლობების კვლევა, ხოლო შემდეგ წარმოიშობა ამ მკვლელობის ჩადენის სურვილი და მოტივი. შემთხვევათა ეს რეალური მიმდევრობა გამაგრებულია და განამდვილებულია იმითაც, რომ გამოძიება მიმდინარეობს "სწორად" - ანუ, გვამის აღმოჩენის შემდეგ გაიხსნება საქმე, ინიშნება გამომძიებელი და ა.შ.. სამხედრო მართლმადიდებელი მღვდელი, რომელიც წააგავს ჩესტერტონის მამა ბრაუნს, ხდება თუ რა შემთხვევასთან აქვს საქმე. ამის შემდეგ ის უბრალოდ ელოდება როდის დაიწყება მკვლელობისათვის მზადება და მოხდება მკვლელობის მოტივის ფორმირება.

აღსანიშნავია მილოშ არმიჩის რომანის დასასრული: მკვლელები და მათი გავლენიანი მეგობრები აცხადებენ, რომ მღვდელი გაგიჟდა და უპირებენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას. სერბეთის საეკლესიო წრეები სამხედრო მღვდელს მწვალებლობაში ადანაშაულებენ.

ცნობილი არგენტინელი კრიტიკოსი ორანდო გარსია ლუსიენდე სტატიაში "Signs of Future", რომელიც პოსტკომუნისტური ქვეყნების ლიტერატურაში სამხრეთამერიკელი მწერლების გავლენას ეძღვნება, მილოშ არმიჩის ამ მოთხრობაში ხედავს ბორნესის, კასავედას და კასარესის კვალს, თუმცა აღნიშნავს, რომ ასეთი გაბედული ნაბიჯი არცერთ მათგანს არ გადაუდგამს, და "New Grave Word"-ში განხორციელებული რეალობის არანაკლებ გაბედულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: სამყარო, წერს ლუსიენდე, გამუდმებით იცვლება.

¹ ეს ტექსტი განსაზღვრულია მხოლოდ ფილოსოფიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

თანაც იცვლება ცნობიერების გავლენით. არმიჩის რომანში აღწერილი რეალობა არის ჩვენი სამყარო, რომელიც ასეთი გახდა მას შემდეგ, რაც ტექსტს, ტექსტურობასა და ტექსტის ქმნადობას მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა. ეს ამბავი დაიწყო პლატონის მიერ დიალოგების წერით მაგრამ აშკარა და ცხადი გახდა ჩვენს დროში, როდესაც ყველაფერი ტექსტად გამოცხადდა და როდესაც სამყაროს შეხედეს როგორც ტექსტს. სამყარომაც არ დააყოვნა ტექსტად ქცევა. სამყაროს ტექსტურობის ნიშნები თანდათან სულ უფრო და უფრო გამოჩნდება. სამყაროს ტექსტად ქცევა, ამბობს ლუსიენდე, ნიშნავს რეალობის ქრონოლოგიური განვითარების ფორმიდან სიუჟეტურ განვითარების ფორმაზე გადასვლას. თანდათან ჩვენს გარემოში მოვლენები სიუჟეტურ დროში იწყებენ არსებობას².

სტატიის ბოლოს ლუსიენდე ცდილობს სერიოზულობა დაუკარგოს თავის თეორიას, მილოშ არმიჩის "New Grave Word"-ს აცხადებს უმბერტო ეკოს "The Name of Rose"-ის პაროდიად და ამბობს, რომ ამ მსჯელობის მიხედვით შეიძლება არმიჩის ეს რომანი ეკოს, ჩესტერტონის, ბორხესის, კასარესის და ტარანტინოს "Pulp Fiction"-ის წინამორბედი იყოს - მათი ფანტასტიკური სიუჟეტების ძირითადი იდეის (core idea) მატარებელი. მით უმეტეს, რომ სამოქალაქო ომი, რომელიც ბორხესმა გახსენებით და გადმოცემით იცის, არმიჩისათვის ხორციელდება იმ გარემოში, სადაც ის წერს "New Grave Word"-ს.

² აქ არ შემოიძლია არ აღვნიშნო ლუსიენდეს იდეების ნათესაობა თბილისში სამოცდაათიან წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნულ წიგნთან "ექსისტენციის დრო და სიუჟეტური სივრცე", რომლის ავტორია ქართველი გერმანულენოვანი მწერალი კოტე მარგველიშვილი. იდეა, რომელიც განვითარებულია ამ წიგნში და რომელიც ეყრდნობა მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიას, გვეუბნება, რომ ექსისტენციის დრო მხოლოდ მაშინ იწყებს არსებობას თუ ის სიუჟეტური დროა.

* * *

1998 წლის გაზაფხულზე ვაიმარიდან, რომელიც 1999 წლის ევროპის კულტურულ დედაქალაქადაა გამოცხადებული, ორი შეკითხვა გაისმა: "მომავლის წარსულიდან განთავისუფლება? წარსულის მომავლისაგან განთავისუფლება?". ეს ორი შეკითხვა, რომელიც ესეების საერთაშორისო კონკურსის თემად დადგინდა და გამყარდა სერიოზული საპრიზო თანხით, და ბოლოს, შეიძლება ითქვას უპრეცედენტო, 2500-მდე გაცემული პასუხით, საუნივერსიტეტო, სამეცნიერო და სხვა ყველანაირი ქსელის საშუალებით მსოფლიო კითხვად იქცა.

ეს ორი შეკითხვა აჩენს *deja vu*-ს გრძნობას. მაგრამ არა იმის გამო, რომ მსგავსი შეკითხვა, ასე და ამგვარად ფორმულირებული, ოდესღაც უკვე დაისვა და ბუნდოვნად გვახსოვს. ამ ორი წინადადების შინაარსი (კითხვის ნიშნის გარეშე), გვეუბნება, რომ საჭიროა ჩვენში და ჩვენს გარშემო არსებული დისკურსების გადალახვა, რომ უნდა მოვახერხოთ ყოფიერების ჩვენეული გაგების დაძლევა, რომ უნდა გავატაროთ სადემარკაციო ხაზი ჩვენს წარსულს და ჩვენს მომავალს შორის, და ბოლოს, რომ ჩვენში და ჩვენს გარემოში არის ამ ყველაფრის განხორციელების პირობები, შესაძლებლობა და აუცილებლობა. ეს ყველაფერი პირველად ფრანგი განმანათლებლების ხელში (და თავში) ჩამოყალიბდა და გაცნობიერდა, როგორც არასრულწლოვანების ასაკიდან გამოსვლისკენ მიმართული ქმედების პროგრამა და სურვილი.

ამ საკონკურსო კითხვებს ვერც ერთი განმანათლებლის ნამუშევარში ვერ ვიპოვით. მაგრამ ის თემები, რომლებმაც ფრანგული განმანათლებლობის გავლით ჩვენში შემოსვლა დაიწყო, აშკარად მიგვიითებენ მათ წრეში არსებულ განთავისუფლების ტოტალურ ინტენციასზე; ინტენციასზე სწორედ მომავალი განთავისუფლებინათ წარსულისგან, ხოლო, წარსული მომავლისაგან.

განმანათლებლებს არ დაუსვამთ მსგავსი შეკითხვები. მაგრამ მათ ჩამოაყალიბეს მტკიცებითი ფორმით ის, რაც ყველასთვის, ვინც ამ სათაურით ესეს დაწერა გადაწყვიტა, საკითხავად იქცა. მათ თქვეს, რომ **უნდა** მოვახდინოთ განთავისუფლება ჩვენი მომავლის ჩვენი წარსულიდან და პირიქით, რომ ამისათვის არის პირობები და არსებობს ამის აუცილებლობა.

შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ორი ძირითადი თემა, რომლებიც ჩვენს გარემოში ფრანგმა განმანათლებლებმა შემოიტანეს: მეცნიერება-ისტორია და ცოდნა-ლაბირინთი;

ახალი დროის გარიჟრაჟზე მეცნიერება განისაზღვრა, როგორც საგნის ისტორიის [წარმოშობის და განვითარების] ცოდნა ("საგნის ცოდნა ნიშნავს საგნის ისტორიის ცოდნას" ლოკი). შესაბამისად, მეცნიერებად ყოფნისათვის აუცილებელი იყო ორი კომპონენტი - მეცნიერების საგანი, რომელიც უნდა განსაზღვრულიყო როგორც საკვლევი ობიექტი, და მეთოდი, რომელიც გამოიკვლევდა ამ საგნის ისტორიას.

პირველი, ვინც გამოაცხადა ძველი ისტორიის, ანუ ქრონიკების სიდუხჭირე (არამეცნიერულობა), იყო ვოლტერი³. მიზანი, რომელიც უნდა ჰქონდეს ისტორიას, ამბობდა ვოლტერი, არის მსოფლიო ისტორია. ამ დაშვებით ისტორიას, მოეძებნა საგანი, რომელიც იყო საკმარისად ზოგადი (მსოფლიო) და საკმარისად უცვლელი. შესაბამისად, ისტორიამ მეცნიერებად გახდომისაკენ ერთი ნაბიჯი გადადგა. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად მეთოდი იყო საჭირო. მეთოდიც შემუშავდა: მსოფლიო ისტორია მიიღწევა და შედგება მსოფლიოს ხალხთა ისტორიებისაგან. მსოფლიო ხალხებად კი დადგინდნენ იმდროინდელი სახელმწიფოების საზღვრებით შემორკალური საზოგადოებები. დაწერილ მსოფლიო ხალხთა ისტორიებს საბოლოოდ უნდა შეედგინათ მსოფლიო ისტორია. ამით ვოლტერმა ყოველ კონკრეტულ დაწერილ ისტორიას საგანი განუსაზღვრა - ხალხი, ერი და დაიწყო კიდევაც მსოფლიო ისტორიისაკენ მიმავალი გზის განხორციელება; დაწერა "ისტორიის ფილოსოფია" - ისტორიის, როგორც მეცნიერების თეორია.

მეორე მნიშვნელოვანი პარადიგმა, რომელიც განმანათლებლობის დროს ჩამოყალიბდა, არის უნივერსალური ცოდნა გადმოცემული ტექსტური სახით, ანუ, ენციკლოპედია. უპირველეს ყოვლისა, ენციკლოპედია არის ცოდნის სისტემა; - შემადგენელი ნაწილების ერთიანობა, რომელშიც ყოველი თემა დაკავშირებულია განსაკუთრებული და საკუთარი წესით ყოველ სხვა თემასთან; ეს არის კავშირების ხლართი, რომელიც ერთი შეხედვით მოუწესრიგებელია, მაგრამ დაკვირვებული მზერა მასში აღმოაჩენს წესრიგსაც და მიმართულებების სიმკაცრესაც. ამ სისტემაში შეიძლება დაიბნე, მაგრამ "რეალურად" გამოსავალი ყოველთვის არსებობს. ენციკლოპედისტებმა შემოიტანეს ცოდნის როგორც სისტემის იდეა,

³ ქრონიკებს განმანათლებლები განმარტავდნენ როგორც ამა თუ იმ მეფის თუ მთავარის ისტორიას; ამაზე იყო დამყარებული ქრონიკების არამეცნიერულობის მტკიცება: ქრონიკების საგანი (ისტორიის სუბიექტი - მეფე, მთავარი) გარკვეული დროის შემდეგ იცვლებოდა და შემთხვევითობაზე იყო დამოკიდებული.

განსხვავებით მანამდე, შუა საუკუნეების ცოდნის პარადიგმისაგან, რომელიც იყო სხვადასხვა ცოდნების (ანუ, ცოდნა მედიცინაში, თეოლოგიაში, ფილოსოფიაში, სამხედრო საქმეში და ა.შ.) შემთხვევითი და იერარქიული გაერთიანება⁴. გარდა ამისა, ამავე "გამოგონებაში" განხორციელდა განმანათლებლებისათვის საპროგრამო სიტყვები "ცოდნა ძალაა" (ფრენსის ბეკონის) - ცოდნისათვის ლაბირინთის სახის მიცემით:

ძალის და ცოდნის შემაკავშირებელი ჰიპოთეტური მსჯელობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: თუ ცოდნა მოიცავს მთელ სამყაროს და მის გარეშე შეუძლებელია სამყაროში რაციონალური მოქმედება, ხოლო ცოდნა, ამავე დროს არის ლაბირინთი, მაშინ ყველაზე მეტი ძალაუფლება აქვს იმას, ვინც კარგად იცის ამ ლაბირინთის გზები. თანაც ლაბირინთი საკუთარ თამაშს გვთავაზობს. ლაბირინთში ბორილისას შეიძლება ისეთ კავშირს გადავაწყდეთ (ორი ან მეტი თემის დაკავშირებას, ანუ, ერთი თემიდან [ბილიკიდან] მოულოდნელ თემაში გასასვლელს), რომელიც ლაბირინთის შემქმნელებს არც კი ჩაუფიქრებიათ.

განმანათლებლების მიერ ლაბირინთის შემოღებით, ცნობიერებაში ახალმა წესმა დაიწყო მოქმედება, რომელსაც ჯერ-ჯერობით, სანამ უკეთეს სახელს ვუპოვით, შეიძლება დავარქვათ "განუსაზღვრელობის პრინციპი". ეს არის ვითარება, როდესაც რამდენიმე ერთი შეხედვით დაუკავშირებელი და არაშეჭიდული თემების მოულოდნელი გადაკვეთით მიიღება უცნაური შედეგი. მას შემდეგ რაც შედეგი ვიცით, ის აუცილებლად და თავისთავადგამომდინარედ გამოიყურება. ანუ, ლაბირინთი იწყებს საკუთარი ცხოვრებით ცხოვრებას და იქცევა ორგანიზმად.

⁴ თუმცა, ცოდნის გაერთიანების იდეა მანამდეც, შუა საუკუნეებშიც არსებობდა. მაგრამ შუა საუკუნეებში გაერთიანებული ცოდნა იყო პერსონიფიცირებული და განსაკუთრებული პერსონების ხვედრი (ალბრტ დიდი, ერაზმ როტერდამელი). განმანათლებლების სურვილი და პროგრამა იყო ცოდნის, როგორც სისტემის აბსტრაგირებული, მეცნიერული გადმოცემა, შეიძლება ითქვას, ცოდნის უნიფიცირება და ყველასთვის ხელმისაწვდომად გადაქცევა, ანუ, ცოდნა-სისტემის მეთოდის შემუშავება.

* * *

ერთ-ერთი ასეთი თავისთავადგამომდინარე შედეგი არის ნაციონალიზმი.

ისტორია-მეცნიერებამ, რომელიც ლაბირინთში მოექცა, "უცნაური" შედეგების მოტანა დაიწყო: ის, რაც მომავალში უნდა ყოფილიყო რაციონალურობის და გონიერების საფუძველი, ყველაზე უფრო ირაციონალურ და ჩაბნელებულ ვნებათა ღელვად გადაიქცა, რომელმაც შემდეგ მთლიანად გამსჭვალა ყოფნის ყველა სფერო, პიროვნული ურთიერთობებით დაწყებული, პოლიტიკით დამთავრებული. მეცნიერება-ისტორიის ლაბირინთში ჩასმამ გამოიწვია ნაციონალიზმის და მისგან გამომდინარე ყველა შედეგის დაბადება.

თუმცა, ეს გვიან, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნეში გახდა ცნობილი. მაგრამ ლაბირინთში წარმოშობილ განუსაზღვრელობის პრინციპი მანამდეც მუშაობდა განმანათლებლების შექმნილ გარემოში და მის ერთ-ერთ შედეგს მარკიზ დე სადი ერქვა. გრძნობის და ვნების კვლევა, რომელმაც საბოლოოდ თავისუფლების გაგებამდე უნდა მიგვიყვანოს - არის გზა, რომელსაც ცოდნა-ლაბირინთში სიარულით დაადგა მარკიზ დე სადი და რომელმაც საბოლოოდ ის აიძულა ჩაედინა უნიკალური დანაშაული და მიეღო უნიკალური სასჯელი. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ **შემდეგ** ეს დანაშაული და დასჯა ძლიერ დაშორდა უნიკალობას, განსაკუთრებულობას. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ამჯერად დაფუძრუნდეთ მეჩვიდმეტე საუკუნეში მომავლის წარსულიდან და წარსულის მომავლიდან განთავისუფლების ძირითად ინსტრუმენტს - ნაციონალიზმს.

ცოდნა-ლაბირინთში მეცნიერება-ისტორიის მოქცევით და განუსაზღვრელობის პრინციპის მეშვეობით წარმოიშვა ნაციონალიზმი.

უპირველეს ყოვლისა, ამის საფუძველი იყო ერის, როგორც ისტორიის სუბიექტის ცნება, რომელიც მეცნიერება-ისტორიამ შემოიტანა. ამ ნოვაციით ისტორიის სუბიექტად დადგინდა არა კონკრეტული პიროვნება, არამედ ზოგადი ერთეული. ეს შესაძლოა მოხერხებული გზა იყო მსოფლიო ისტორიის დასაწერად, მაგრამ ისევ და ისევ განუსაზღვრელობის პრინციპის გამო გაჩნდა ძალიან ლოგიკური სურვილი ეკვლიათ ამ ახალი სუბიექტის წარმოშობა, მისი დამსახურებები, მისი ბიოგრაფია. ვინაიდან ახლად გაჩენილი ერის ცნება ემპირიულად დაუკავშირდა სახელმწიფოს, ამ სუბიექტმა თანდათან გადაინაცვლა პოლიტიკაში და ერთ-ერთი ძირითადი სასაუბრო თემა გახდა. ერის ბიოგრაფიის

და წარსულის კვლევის აუცილებლობამ ეს თემა გადაიტანა ლიტერატურასა და თეორიაში (სხვადასხვა -სოფიებში და -ლოგიებში).

* * *

ერის თემატიზაცია ნელ-ნელა ყველა დონეზე განხორციელდა და დისკურსის შინაარსობრივ საფუძვლად იქცა. რა თქმა უნდა, მოხდა შეგრძნებების თემატიზაციაც. ერის ზოგადმა იდეამ, საბოლოოდ, მასების მართვის იდეალური ფორმის სახე მიიღო. ეს პროცესი ალბათ ყველაზე უფრო კარგად ანათებს ალთუსერის დებულებას, რომ *ფილოსოფიას (წაიკითხე - აზროვნებას - გ.თ.) პოლიტიკაში შეაქვს მეცნიერება, ხოლო მეცნიერებაში პოლიტიკა*. საბოლოოდ ნაციონალიზმი დადგინდა, როგორც პოლიტიკურ დისკურსში მეცნიერების (მეცნიერება-ისტორიის) წვლილი, ხოლო მეცნიერებაში - პოლიტიკის წვლილი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც აუცილებელი და სახელმწიფო პოლიტიკისათვის გარდაუვალი გახდა ისტორიის ერთი სუბიექტის აღმატების მტკიცება სხვა სუბიექტებზე, და ამით პოლიტიკური და სამხედრო პრეტენზიების გამართლება საკუთარ მოსახლეობასთან.

განუზღვრელობის პრინციპს, რომელიც ცოდნა-ლაბირინთში ასეთ შედეგებს იძლევა, სხვანაირად **უცნობი შედეგის აუცილებლობა** შეიძლება დავარქვათ. ანუ, როდესაც ყველა პარამეტრი ნაცნობია, მაგრამ შედეგის პროგნოზირება ამ შედეგამდე შეუძლებელია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ სეგრეგაცია, შავი და თეთრი რასიზმი, ევგენიკა, ფაშიზმი, ეთნიკური კონფლიქტები⁵ და ა.შ.

ნაციონალიზმის დადგენის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს არცერთი სახელმწიფო, რომლის პოლიტიკოსებიც და მოქალაქეებიც საკუთარ თვითიდენტიფიკაციას არ ახდენდენ ერისადმი კუთვნილების აღიარებით.

ამდენად, ის პროგრამა, რომელიც ფრანგმა განმანათლებლებმა დასახეს, წარმატებით განხორციელდა - მათ მართლაც მოახერხეს გაენთავისუფლებინათ

⁵ რაც შეეხება ამ უკანასკნელს: ეთნიკური კონფლიქტი სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოში შემავალი ეთნოსის სურვილი გახდეს ისტორიის სუბიექტი (ანუ მოიპოვოს სახელმწიფო). ამ სურვილის გამყარება როგორც წესი ხდება ისტორიული და მატერიალური კულტურის არგუმენტების მოშველიებით.

მათი მომავალი მათი წარსულისაგან და მათი წარსული მათივე მომავლისაგან; მოხდა ცნობიერებაში სადემარკაციო ხაზის გატარება. ფრანგმა განმანათლებლებმა შექმნეს ის აწმყო, რომელიც იქცა ცნობიერების საზღვრად: წარსული უკვე აღარ მოქმედებდა მომავალზე, რადგანაც მომავალი სხვა პრინციპებითა და წესებით კონსტრუირდებოდა. ასევე გაწყდა (ან ჩანდა რომ გაწყდა) კავშირი მომავალს და წარსულს შორის; წარსული უკვე აღარ იყო გამოსადეგი მომავლის მაგალითად და მოდელად. ევროპამ, და მალე მსოფლიომაც - სხვა წესებით და სხვა ცნობიერებით დაიწყო არსებობა, ვიდრე ეს მანამდე იყო; ახალი მსოფლიო განსაზღვრა ორმა ძირითადმა თემამ, როგორებიცაა - ახალი ისტორიის ახალი გაგება, ანუ, ისტორიის ახალი სუბიექტი და ახალი ცოდნა, ანუ, ცოდნა როგორც მეცნიერებათა სისტემა. ამ ორი თემიდან გამომდინარე ახალმა თემატურობამ - ახალმა პოლიტიკამ - სახელმწიფოს და მოქალაქის თვითიდენტიფიკაციის ახალმა წესმა განთავისუფლების ემპირიულ გამოხატვაში გადამწყვეტი როლი ითამაშა⁶.

ის წესი, რომლის ძალითაც ცოდნა-ლაბირინთი არსებობს როგორც ორგანიზმი და რასაც აქამდე ორი სახელი - განუსაზღვრელობის პრინციპი და უცნობი შედეგის აუცილებლობა დაგარქვით, არის პოლიტიკა, რომელიც, როგორც თემატურობა ასევე ახალი დროის პარამეტრია. მანამდე, ანტიკური პერიოდის და შუა საუკუნეების პოლიტიკა იყო ინტრიგა. ამ პერიოდების "პოლიტიკა" შეიძლება აღვწეროთ, როგორც სამეფო კარების ურთიერთობა,

⁶ რა თქმა უნდა, იყო ბევრი სხვა ახალი კონპონენტიც, რომელნიც ახალ დროში, ანდა შუა საუკუნეების ბოლოს გამოჩნდა. მაგრამ ისინი მხოლოდ ამყარებდნენ და ამაგრებდნენ შეცვლილ გარემოს. მაგალითად, შუა საუკუნეების ბოლოს თავიდან აღმოჩენილი რუკის ფენომენი; რუკის თემა მოექცა ცოდნა-ლაბირინთში. შესაბამისად, მოხდა მისი შეღწევა პოლიტიკის სფეროში. პოლიტიკამ შეცვალა რუკის დანიშნულება და გზამკვლევიდან გადააქცია მიზნად: რუკამ შექმნა რეალობა, რომელშიც სახელმწიფოების საზღვრის დადგენა ხდება არა მიწაზე, არამედ ქალაქზე პუნქტირის გავლებით. ეს პუნქტირი თავის მხრივ ლეგიტიმიზირდება "საერთაშორისო თანამეგობრობის" მიერ (ქალაქზე ნიშნების დატანით). ეთნოსი, ან ერი, რომელიც იწყებს კონფლიქტს, რუკის პუნქტირის უპირისპირებს მიწას, ქვას, ეკლესიას და ამ არგუმენტით ცდილობს ახალი პუნქტირი გააჩინოს მსოფლიო რუკაზე.

რომელსაც სათავეში მეფეები ედგნენ და ყველა დანარჩენი "პოლიტიკოსი" მოქმედებდა ამ მეფეების და მთავრების აზრის და მოქმედების შესაცვლელად.

ის, რაც ცოდნა-ლაბირინთში წარმოიშობა, როგორც ცოდნა-ლაბირინთის არსებობის პრინციპი და როგორც ამ ლაბირინთის ორგანიზმად ქცევის მთავარი გარანტი, არის პოლიტიკა. ისტორია-მეცნიერებამ და ცოდნა-ლაბირინთმა პირველად გახადეს აშკარა პოლიტიკის, როგორც ყველაფრის გამჭოლი თემატურობის წარმოშობა. პოლიტიკის, რომელმაც შესაძლებელი გახადა დისკურსების და მათი ურთიერთობების არსებობა.

პოლიტიკის ღერძი არის ძალაუფლება. ძალაუფლება, როგორც ცოდნა-ლაბირინთის ანალიზმა აჩვენა, არის ლაბირინთის ფუნქცია. ცოდნა-ლაბირინთმა პირველად გახადა შესაძლებელი ძალაუფლების მოპოვება ცოდნის საშუალებით. - პირველად დაუკავშირა ერთმანეთს ცოდნა და ძალაუფლება - ძალაუფლებას მოშორდა ქარიზმატულობა, და გადაიქცა მოპოვებადად.

პოლიტიკა არის ის, რაც წარმოიშობა ცოდნა-ლაბირინთში თემების გადაკვეთისაგან. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ყველა გადაკვეთა არსებობს პოტენციურად. მნიშვნელოვანია ის, თუ გადაკვეთების რომელი სისტემა ხდება აქტუალური დროის მომენტში, რომელი თემა ხდება აქტუალური ცოდნა-ლაბირინთის ცოდნისათვის და არსებობისათვის⁷.

მთავარი ნაბიჯი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში ათავისუფლებს მომავალს წარსულიდან, ხოლო წარსულს მომავლიდან, არის ცოდნის და ძალაუფლების აუცილებელი კავშირი. ძალაუფლება ხდება [ცოდნის] სისტემის პროდუქტი. ძალაუფლებას იპოვებს ის, ვინც არა მხოლოდ იცის ლაბირინთის გზები, არამედ შეუძლია სხვები დაარწმუნოს, რომ ის თვითონ ლაბირინთის ცენტრში დგას. აქ ცოდნა-ლაბირინთი კიდევ ერთ მოულოდნელ ასპექტს აჩენს ამ ერთი შეხედვით რაციონალურ (გონების) სამყაროში: ძალაუფლებისათვის აუცილებელ რწმენას და დამაჯერებლობას. ნაციონალიზმი იყო ყველაზე უფრო

⁷ ამიტომ, მარკიზ დე სადი, რომელიც გაბატონებული პოლიტიკასაგან განსხვავებულ თემაში (გადაკვეთების ოდნავ სხვა თემაში) მოექცა, იყო **პოლიტიკური პატიმარი**, და იჯდა ციხეში ყველა ხელისუფლების დროს. იმიტომ, რომ მისი თემა შეიცავდა ძალაუფლებას, მიუთითებდა იმდროინდელი მთავარი თემის - თავისუფლების - მისაღწევ გზებს, და ასევე, შეიცავდა საფრთხეს მომიჯნავე თემისათვის, რომელსაც რევოლუციონერები ატარებდნენ. რომ არაფერი ვთქვათ სამეფო ხელისუფლებაზე.

ცხადი და ნათელი იდეა, რომელიც მიუთითებდა ლაბირინთის ცენტრის, ყველა თემის და მიმართულების გადაკვეთის ცოდნას.

ცოდნა-ლაბირინთის კიდევ ერთი დამსახურებაა გრძობადის აუცილებლობის დადგენა. რწმენა, რაც მანამდე სასუფეველის და სახელმწიფო წყობის სიმშვიდის გარანტი იყო, გადაიქცა აქტუალურ ინსტრუმენტად, და ლაბირინთის არსებობის წესის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად⁸.

განმანათლებლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილი ახალი პარამეტრების და დისკურსული ველების შემოტანაში არის განათლების (ცოდნის) მიზნის - ბიუროკრატიის შემოღება. ანუ, იმ ფენის დადგენა, რომელიც იერარქიულად გადაანაწილებს ძალაუფლებას. ბიუროკრატიაში ყველაზე უფრო კარგად არის გაცხადებული ამ ახალი ძალაუფლების ბუნება - ლაბირინთი. ბიუროკრატია, როგორც ახალი სხეული შეიქმნა არიადნეს ძაფის ფუნქციის - გზამკვლევის როლის - შესასრულებლად მათთვის, ვისაც ლაბირინთის ცენტრში უნდა გასვლა, ან უბრალოდ რომელიმე მიმართულებაში გარკვევა. ბიუროკრატიის, როგორც ახალი სხეულის წარმოშობა განაპირობა თვითონ ლაბირინთის სირთულემ, და ცოდნის განაწილების აუცილებლობამ რომელიც შემდეგ შრომის განაწილებას დაედო საფუძვლად.

რა თქმა უნდა, უკვე შემდეგ, როდესაც ეს ახალი სხეული - ბიუროკრატია ჩამოყალიბდა, მისი ანალოგები გამოჩნდნენ ფარონების ეგვიპტეშიც და უფრო ადრეც. მაგრამ, განსხვავება ისევ და ისევ იმ აწმყო-ათვის წერტილში - მეჩვიდმეტე საუკუნეშია - საიდანაც ისტორია წარსულში და მომავალში გაიშალა. მეჩვიდმეტე საუკუნის აწმყო ისევე განსაზღვრავს მანამდელ დროს, როგორც ჩვენს გარემოს. ისევე, როგორც ლაბირინთი იწყება არა ლაბირინთის კარებით, არამედ იმ პირველი თემატური გადაკვეთით, რომელიც ლაბირინთში შემსვლელს

⁸ მითი ახალი ლაბირინთის შესახებ ალბათ ასე უნდა გამოიყურებოდეს: მინოტავრი არ ცხოვრობს ლაბირინთში. თეზევსი თეზევსი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამარჯვებული გამოდის ლაბირინთიდან. შესაბამისად, მინოტავრი მინოტავრად იქცევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თეზევსი გამოდის ლაბირინთიდან. ანუ, მკვდარი იცვლის ფორმას. მაგრამ პრობლემა შემდეგშია: როგორ უნდა გამოარჩიო თეზევსი ლაბირინთიდან გამოსულებიდან? აქ იმარჯვებს ის, ვინც დაარწმუნებს არიადნეს, რომ ის თეზევსია.

შემოეყრება; იმ ადგილით, საიდანაც ლაბირინთში მოსიარულე იწყებს ლაბირინთში გარკვევას⁹.

განმანათლებლებმა გამოცვალეს ცოდნის და ძალაუფლების ბუნება. სხვა დატვირთვა მიანიჭეს რწმენას და შეგრძნებას. ასე განხორციელდა განთავისუფლების პირველი დიდი აქტი. ამ განთავისუფლებით ფაქტიურად დაიწყო ისტორია. ის ისტორია, რომელშიც ერები და სახელმწიფოები მონაწილეობენ და რომელიც ძალაუფლების ბიოგრაფიას გვიყვება.

მეჩვიდმეტე საუკუნის რეალობა იყო ის წერტილი, საიდანაც ათვლა დაიწყო ისტორიამ. მაგრამ არა მარტო იმ ისტორიამ, რომელშიც ჩვენ ბოლო დრომდე ვცხოვრობდით, არამედ ამ ისტორიის წარსულმაც. ფაქტიურად დაიწყო ახალი **შინაარსობრივი** წელთაღრიცხვა, რომელმაც განსაზღვრა წარსულის პერიოდები. ეს განსაზღვრა ისე ზუსტად მოთავსდა ცოდნა-ლაბირინთის იმდროინდელ ცენტრში, რომ კაცობრიობის ისტორიის სამ პერიოდად (ანტიკური, შუა საუკუნეები, ახალი დრო) დაყოფა საყოველთაოდ მიისაღებოდა და თავისთავადგასაგები გახდა. მხოლოდ ისტორიის დაწყებით მოხერხდა ისტორიის წარსულის, როგორც სისტემის დანახვა და მისი ცოდნა-ლაბირინთში მოთავსება.

* * *

ისტორია იწყება არა იქ, სანამდეც პალეონტოლოგის და არქეოლოგის თვალი და ფუნჯი აღწევს, არამედ მეჩვიდმეტე საუკუნეში და იშლება ორმხრივ - მომავლისაკენ და წარსულისაკენ. სწორედ ასე მოხდა წარსულის და მომავლის

⁹ ეგვიპტელებს, შუმერებს, ბერძნებს და რომაელებს არ შეიძლება ჰყოლოდათ ბიუროკრატია - მათ ჰყავდათ ცოდნის დამხარისხებლები, ცოდნების იერარქიებში მომქცევეები, იერარქიის დამდგენები - ქურუმები. შესაბამისად, ახალი დროის წინა პარადიგმის რეკონსტრუირება რომ შეიძლებოდა, მას ბიბლიოთეკა უნდა დავარქვათ, სადაც წიგნების განლაგების რთული სისტემა მხოლოდ ბიბლიოთეკარმა იცის. განლაგების ეს ცოდნა არის არა ძალაუფლება, არამედ ძალაუფლებასთან, ქარიზმასთან და ღმერთთან ზიარების, თანყოფნის, ახლოს დგომის საშუალება და საბუთი. ცოდნა მეჩვიდმეტე საუკუნემდე იყო ძალაუფლებასთან მიახლოების გზა, საშუალება, რომ ახლოს ყოფილიყავი ძალის მქონესთან - მეფესთან, ღმერთთან. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების და ანტიკური პერიოდის ცოდნა ნაკლებად პრაქტიკული იყო, ვიდრე ჩვენი. ამას ჩვენი საყოველთაო ცნობიერებაც გვეუბნება, რომელიც აღიარებს, რომ ჩვენი განათლება და ცოდნა უფრო **პრაქტიკულია**. ანუ, ჩვენს გარემოში **პრაქსისი** დაუკავშირდა ძალაუფლებას.

განთავისუფლება ერთმანეთისაგან. ამის შედეგია ისიც, რომ ჩვენი ლეგიტიმური [და არა რეალური] აწმყო არის მეჩვიდმეტე საუკუნის გარემო. ყოველი ჩვენი ნაბიჯი მიმართულია ამ აწმყოს მომავალზე და ჩვენც რეფლექსიისას იმ აწმყოს მომავალში ვპოულობთ ხოლმე თავს.

ჩვენი სოციალური არსებობა დღეს ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში შემოტანილი ძირითადი თემებითაა განსაზღვრული. "სოციალურში" ამ შემთხვევაში ვგულისხმობ იმ ლეგიტიმურ არსებობას, რომელიც ყოველ ინდივიდს აძლევს საშუალებას იყოს სახელმწიფოს მოქალაქე და ქონდეს როგორც უფლებები და შეღავათები, ასევე მოვალეობები და შეზღუდვები, რომლებიც დადასტურებულია "საერთაშორისო თანამეგობრობის" მიერ. ცოდნა-ლაბირინთის, ცოდნა-ძალაუფლების და ლაბირინთული ბიუროკრატის თემები კვლავ მუშაობს და წარმატებით ართმევს თავს საზოგადოების სტრუქტურისადაც. სახელმწიფო-ერის თემაც კვლავინდებურად აქტუალურია.

ეს კი ნიშნავს, რომ დღეს ჩვენი რაციონალურობა და თავისთავადგასაგებობა, ჩვენი **prejudice**-ები ისაზღვრება მეჩვიდმეტე საუკუნით. ასევე, ის მეცნიერებებიც და მიმართულებებიც, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნებზე არსებულ დროებს და ამ დროების საგნებს და ნივთებს იკვლევენ, განპირობებულნი არიან ახალი დროის პარამეტრებით (დეკონსტრუქცივიზმის ჩათვლით, რომელიც სხვას არაფერს ახორციელებს, თუ არა ამ პარამეტრებთან დაპირისპირებას).

ერთადერთი ლეგიტიმური რეალობა, რომელიც დღეს არსებობს, და რომელიც ამ ბოლო სამი საუკუნის მანძილზე არსებობდა, არის მეჩვიდმეტე საუკუნის გარემო. ის გარემო, რომელშიც იქმნებოდა და შეიქმნა **ახალი პოლიტიკა** - ძალაუფლების სრულიად ახალი და განსხვავებული **თემატურობა**. რომელმაც, თავისთავად, განაპირობა ახალი თემების (მაგ. **ნაციონალიზმი**) წარმოშობა და ახალი სხეულების (მაგ. **ბიუროკრატია**) დაბადება.

ჩვენი გარემო, ის გარემო რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, არის სამი საუკუნის წინ არსებული აწმყოს მომავალი¹⁰.

* * *

¹⁰ მაგრამ ეს რაც შეეხება ლეგიტიმურ გარემოს. ბუნებრივია, არსებობს არალეგიტიმური გარემოც, რომლის შესახებაც მოგვიწევს ლაპარაკი.

მეოცე საუკუნეში, ერთ-ერთი ძირითადი და ცენტრალური თემის პოლიტიკური მარცხის შემდეგ, მას შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ პოლიტიკა და ნაციონალიზმი (ანუ, არსებული თემატურობა და კონკრეტული თემა) შეუთავსებლები არიან, ნელ ნელა გამოჩნდა არალეგიტიმური სივრცე იმ ნაჩვრეტებში, რომელიც ლეგიტიმური სივრციდან ნაციონალიზმის ამოგლეჯამ გააჩინა.

არალეგიტიმური სივრცე უცნაურ ვითარებებს გვიჩვენებს: მაგალითისათვის ახალი სხეულის - ბიუროკრატის - ტრანსფორმაცია გამოდგება: ბიუროკრატია წარმოიშვა, როგორც ცოდნა-ლაბირინთში გზამკვლევი. მაგრამ თანდათან, ცოდნა-ლაბირინთის გართულებასთან ერთად ბიუროკრატის ბუნებაც შეიცვალა. ის გადაიქცა ლაბირინთის თემატურობის მატარებლად, ანუ, ძალაუფლების მქონედ. ძალაუფლება, რომელსაც ბიუროკრატია ატარებს, მხოლოდ ლაბირინთს შიგნით არსებობს. ბიუროკრატისათვის შეუძლებელია გამოვიდეს ლაბირინთიდან და კვლავ ძალაუფლების მატარებლად დარჩეს. ამიტომ ბიუროკრატის ინტერესშია მთელი გარემო მოაქციოს ლაბირინთში, ანუ ცოდნაში¹¹.

მაგრამ ძალაუფლების არსი ხომ ძალაუფლების ლაბირინთიდან გამოტანის უნარში მდგომარეობდა, ანუ, ლაბირინთიდან გამოსულის უნარში დაერწმუნებინა არიან, რომ ის თეზვესია. როდესაც მთელი გარემო ხდება ცოდნა-ლაბირინთი, ხდება ძალაუფლების, ანუ თემატურობის დამთხვევა თემებთან და მისი გადღაბვნა-გაბნევა (dissemination). იქმნება სიტუაცია, როდესაც ყველა არის ძალაუფლების შემგრძნები და თანაზიარი, მაგრამ ძალაუფლება არავის არ აქვს.

როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცხადი გახდა ერთ-ერთი მთავარი ახალი თემის საშიშროება ადამიანების სიცოცხლისათვის, ნებისთ თუ უნებლიეთ დაიწყო ძალაუფლების ის გადღაბვნა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ძალაუფლების გადღაბვნა და გაურკვეველობა ნიშნავს პოლიტიკის ანულირებას: მის საყოველთაოდ და ყველგანმყოფად ქცევა, არა როგორც თემატურობის¹², არამედ

¹¹ ამით შეიძლება აიხნას ერთი შეხედვით არაპრაქტიკული მეცნიერებების [მაგ. თეორიული ფიზიკა] ხელშეწყობა განვითარებული ქვეყნების მმართველობების მიერ - როგორც ინტენცია ყველაფერი გადაიქცეს ცოდნად და მოექცეს ცოდნა-ლაბირინთში.

¹² როგორც ეს მანამდე იყო - მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ პოლიტიკა, როგორც პრინციპი, როგორც თემატურობა, თითქმის ყველაფრის განსაზღვრაში მონაწილეობდა და ყველაფერი პოლიტიკის სიბრტყეში გადაჰქონდა.

როგორც თემის¹³. "ეპოქა" როდესაც პოლიტიკა საზღვრავდა ვითარებებს და სიტუაციებს, ჩანაცვლა დრომ, როდესაც ყველა ვითარება და სიტუაცია პოლიტიკა გახდა. ამ გადღაბვანამ, გაბნევამ და პოლიტიკის, როგორც საყოველთაო თემატურობის საყოველთაო თემად გადაქცევამ საფუძველი დაუდო არალეგიტიმურ გარემოს, რომელშიც დღეს ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ.

* * *

პოლიტიკის და ძალაუფლების გადღაბვანამ ისევ უცნაური შედეგი მოიტანა: საყოველთაო ინსტიტუციონალიზაცია. ინსტიტუციონალიზაციაში მე ვგულისხმობ ერთი მხრივ ჩვენს გარემოში არსებულ ქცევათა საყოველთაო განსაზღვრულობას და მათ განმატებადობას, ხოლო მეორე მხრივ, დისკურსების მაქსიმალურ მრავალფეროვნებას და დისკურსებს შორის მოძრაობის შეუზღუდავ შესაძლებლობას.

ორივე ეს მოვლენა ერთმანეთს იწვევს და განსაზღვრავს; დღეს ჩვენს გარემოში შეუძლებელია ქცევა, მოქმედება თუ რიტუალი, რომელიც **ახალი**, ან რაიმე ახალზე **მიმანიშნებელი** იქნება. ყველა ქცევა იმდენად შესწავლილი, დამუშავებული და ცოდნა-ლაბირინთში მოქცეულია, რომ შეუძლებელია რაიმეს გაკეთება, ცოდნა-ლაბირინთმა რომ ანალოგი და ახსნა (ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ფსიქონალიზური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ძველბიჭური, სტრუქტურალისტული, მოდერნისტული, პოსტმოდერნისტული და ა.შ.) არ მოუძებნოს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის თანამედროვეობის, ჩვენი გარემოს **პოლიტიკა**: არ დატოვოს არაფერი და არავინ ცოდნა-ლაბირინთის, ანუ, გადღაბნილი ძალაუფლების გარეშე. ყველაფერი და ყველა მოაქციოს ცოდნა-ლაბირინთში, ისიც კი, რაც შორს დგას იმისაგან და რასაც ყოველდღიურობაში პოლიტიკას ეძახიან.

სწორედ ამიტომ ჩვენს გარემოში მარკიზ დე სადის ქცევა მოხვდა პოლიციურ ქრონიკებში და ფსიქონალიტიკოსების დღიურებში, მოექებნა ახსნა და კვალიფიკაცია. დასჯაც (ფაქტიური სამუდამო პატიმრობა) ისეთივე ბანალური და

¹³ ანუ, როდესაც ყველა საკითხი გახდა პოლიტიკური - იქნებოდა ეს ნაციონალური ლიტერატურა, სხვა ეროვნების თუ რასის ადამიანებთან ურთიერთობები, ეკონომიკური კავშირები, სექსუალური უმცირესობები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მონაწილეობა და სხვა.

სტატისტიკური გახდა, როგორც დე სადის ქცევა. ეს კი ნიშნავს, რომ დღევანდელ ჩვენს გარემოში შეუძლებელია ჰაიდვეგერული man-იდან (მასიდან და ყოველდღიურობის განსაზღვრულობიდან) გამოსვლა ქცევის საშუალებით. ანუ, შეუძლებელია ეპატაჟი. განდევილობა და ორგია ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც კონფერენციის დღის წესრიგი აუცილებელი cofe-break-ებით და და ბოლოს reception-ით. მეტიც, ამ საყოველთაო განურჩევლობის და ერთ თემაში ყოფნის ფონზე ყველა ქცევა, რომელიც კი ოდესმე არსებულა, დღეს შესაძლებელია და ალბათ სადღაც, ჩვენს გვერდით, უკვე განხორციელებული.

ჩვენი გარემოს სპეციფიურობის საფუძველი ისევ ცოდნა-ლაბირინთში ძევს: ყველა ქცევის ანალოგის და დუბლიკატის პოვნა შეიძლება ისტორიაში. ამის საშუალებას კი დისკურსების მრავალფეროვნება და განსხვავება იძლევა, რომლებიც ახსნის და განმარტების უსასრულო შესაძლებლობას გეთავაზობენ. დღეს ჯანყი აღარ არის რუტინისაგან და საყოველთაობისაგან განთავისუფლება. ერთადერთი, რაც შეუძლია მოჯანყეს გააკეთოს - გადავიდეს სხვა დისკურსულ ჯგუფში, რომელიც უფრო შეესაბამება მის მოჯანყე ქცევას; შემდეგ, თუ კვლავ ჯანყი მოუნდა, კვლავ გამოიცვალოს ჯგუფი და ა.შ. დღეს პრინციპულად შეუძლებელია ახალი ქცევა, რომელსაც ჩვენი გარემო ვერ მოუძებნის შესაბამის ჩარჩოს და თანამოაზრეთა ჯგუფს. მეტიც - სახელმწიფო მმართველობის ოპოზიცია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთეულების ხვედრად და ინტელექტუალურ ჯანყად ითვლებოდა, ინსტიტუციონიზირდა და გადაიქცა "სამოქალაქო საზოგადოებად" (არაფერს ვამბობ პოლიტიკურ ოპოზიციაზე). არასამთავრობო აქტიობაზე და ორგანიზაციებზე ლაპარაკი ამჯერად შორს წაგვიყვანს, მაგრამ საზოგადოების საყოველთაო სტრუქტურისაგან, რომლის ნაწილი სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოების შექმნაა, აშკარად მონაწილეობს ძალაუფლების გადღაბენის პროცესში და ბიუროკრატიულ-ლაბირინთის შედეგია.

* * *

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ "აპოკალიფსურ სიტუაციაში": ყველა იდეა, თეორია, თუ მიმდინარეობა, რომელთაც ოდესმე კი უარსებია კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, აღდგა და მოთავსდა ჩვენს გარემოში: ამის მიზეზი შეიძლება ორი

რამ იყოს: 1) ნაციონალიზმის, როგორც თემის ამოგლეჯა¹⁴ ლეგიტიმური გარემოდან, რამაც გამოიწვია, ერთი მხრივ ცენტრალური თემის, როგორც ასეთის, დისკრედიტაცია, ხოლო მეორე მხრივ, შემცველი თემის (თემების) როგორც ცნობიერი, ასევე არაცნობიერი (დაუფიქრებელი) ძეხნა. 2) ლეგიტიმური სივრციდან ნაციონალიზმის ამოგლეჯისაგან და ცენტრალური თემის დისკრედიტაციისაგან გამომდინარე მართვის ნეიტრალიზაცია.

ამის შედეგად დაიწყო ბიუროკრატიის იდეოლოგიისაგან დაცლა და ახალი იდეოლოგიებისადმი რამდენიმე აუცილებელი მოთხოვნა შემუშავდა: ის არ უნდა ლახავდეს ადამიანის ძირითად უფლებებს, არ უნდა ემუქრობდეს სახელმწიფო უსაფრთხოებას და ა.შ.. ანგლო-საქსონურ იურისპუდენციას უფრო მეტად, გერმანულს - უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც, შეუძლია დაასაბუთოს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებას აშკარა აგრესიის და სახელმწიფო წესრიგის წინამძღვრად მიმართული აშკარა ქმედების გარდა არაფერი არ ემუქრება. შესაბამისად, არ არსებობს არცერთი ტექსტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებდეს საფრთხეზე. შესაბამისად, შეიძლება ყველა ტექსტი ალვადგინოთ და ყველა დისკურსი შევქმნათ¹⁵.

¹⁴ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ცენტრალურ თემაზე (ისტორიის ახალი სუბიექტიდან /ერიდან/ გამომდინარე ნაციონალიზმი) დაყრდნობით აღარ შეიძლება ლეგიტიმური სივრცის არსებობა. ამიტომ ცენტრალურ თემაზე უარი ითქვა, თუმცა ამ ცენტრალური თემიდან გამომდინარე ფენომენები (ერი, სახელმწიფო, ლეგიტიმური თვითიდენტიფიკაციის წესები და ა.შ.) იგივე დარჩა.

¹⁵ ეს მხოლოდ ლიტერატურული ფანტაზია არ არის. დღეს შეიძლება არსებობდეს მხარე, სადაც წარმოებულ ნივთს მართლაც ექნება თვითიდენტიფიკაცია (მარქსი), რომელსაც ვერაფერი ვერ შეცვლის. ნებისმიერი მართვა, რომელიც დაეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ამ ნივთის [თვით]იდენტიფიკაცია ბაზარმა, ანუ, ადამიანების ეკონომიკურმა და უბრალოდ - ურთიერთობებმა უნდა განსაზღვროს, არ იმუშავებს, დაანგრევს და გამოუვალ კრიზისამდე მიიყვანს ამ მხარის სოციალ-ეკონომიკურ სისტემას.

გასათვალისწინებელია, რომ თუ მეორე მსოფლიო ომამდე ზოგიერთ ქვეყანაში ფარული (თუ ცხადი) მონათმფლობელობის არსებობა სამარცხვინოდ და ჩამორჩენილობად ითვლებოდა, დღეს ეს პრობლემა ისე აღარ აწუხებს ლეგიტიმურობას. ამ პრობლემების მოგვარება არასახელმწიფო ბიუროკრატიის - არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელში გადავიდა. არა მხოლოდ იმის გამო, რომ სახელმწიფოს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს გადასაწყვეტი, არამედ იმიტომ, რომ "იმ სისტემასაც აქვს არსებობის უფლება, იმ დისკურსის მატარებლებმაც უნდა შესძლონ ყოფნა". მით უმეტეს, რომ ის

ასე წარმოიშვა შესაძლებლობა, რომ ყველანაირი დისკურსი აღმდგარიყო და შედეგად მიგველო მრავალფეროვანი დისკურსული სინამდვილე.

მაგრამ საიტერესო შედეგი ისაა, რომ მართვის პრინციპების ხელშეუხებლად დატოვების სურვილმა მართვის დისკურსების შედარებით გამრავალფეროვნებაც გამოიწვია; მიმართულებამ დაეცალათ და დაეცვათ მართვა იდეოლოგიისაგან და იდეოლოგია მხოლოდ პარტიულ ველებში დაეტოვებინათ, ზოგიერთ ქვეყანაში (განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, სადაც არაიდეოლოგიური მართვა არ იყო ტრადიციული) გამოიწვია წინაისტორიული, ანუ, მეჩვიდმეტე საუკუნემდე არსებული ტრადიციის აღოძინება: გაჩნდნენ ქარიზმატული ლიდერები, ხოლო პოლიტიკის ადგილი ინტრიგამ დაიკავა. თუმცა ასეთი ტრადიციის აღოძინებისაგან დღეს არცერთი ქვეყანა დაზღვეული არ არის; ძალაუფლება გადღაბნილია და გადასულია ბიუროკრატიული სხეულის ხელში, ეს სხეული კი ისე არის შერწყმული ლეგიტიმურ საზოგადოებასთან, რომ თანდათან ტოტალურად განხორციელდება სიტუაცია, როდესაც მმართველობას (პრეზიდენტს, პარლამენტს, მუნიციპალიტეტს) ბიუროკრატია აირჩევს (ბიუროკრატია ყველაზე უფრო ფართო აზრით - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეპრეზენტატორების ჩათვლით). აირჩევს ის, ვისაც აინტერესებს არჩევნების შედეგები და ქვეყნის მმართველობის სისტემა, რომელშიც თავის თავსაც ხედავს და რომელსაც საკუთარ გარემოდ გრძნობს. ამ წრეში კი, ანუ, მათ შორის, ვინც ზიარებულია გადღაბნილ ძალაუფლებასთან, ასარჩევს გამორჩევა ქარიზმატულობის ნიშნის მიკუთვნებით შეიძლება მოხდეს.

* * *

ცოტა ხნით ადრე, სანამ თემატურობის და თემის¹⁶ შეუთავსებლობა აშკარა გახდებოდა, ჩვენთვის დასმული კითხვის შინაარსი, ოღონდ ამჯერად კითხვის ნიშნით შემკული, კიდევ ერთხელ გაისმა. ეს კითხვა, რომელიც იმეორებდა განმანათლებლების მიერ დასახული პროგრამის შინაარსს, ოღონდ კარტეზინული ეჭვის თანხლებით, ასე გამოიყურებოდა: "არის თუ არა დრო ყოფიერების ჰორიზონტი?"

მონათმფლობელობა ამ სახელმწიფოების უსაფრთხოებას ნამდვილად არ ემუქრება. ბოლოს და ბოლოს პოსტმოდერნული პასუხი ამ პრობლემაზე მიუთითებს მონის შესაძლებლობაზე გაიქცეს.

¹⁶ ანუ, პოლიტიკის და ნაციონალიზმის.

მარტინ ჰაიდეგერის "ყოფიერებისა და დროის" ეს ბოლო კითხვა ღერძად გასდევს მის ფილოსოფიას, თუმცა ხანდახან სახეს იმდენად იცვლის, რომ მისი ცნობა შეუძლებელია. ხანდახან ის გვევლინება როგორც კითხვა "შესაძლებელია თუ არა მეტაფიზიკის გადალახვა?", ხან იაპონელ ფილოსოფოსთან ენის ბუნებაზე საუბრად, ხანდახან თემშარის ფენომენოლოგიურ ანალიზად.

კითხვა "არის თუ არა დრო ყოფიერების ჰორიზონტი?" შემდეგნაირად უნდა გაიშალოს: არის თუ არა ყოფიერების ის გაგება, მსოფლმხედველობის ის პარადიგმა თუ არქეტიპი, რომელიც ჩვენ გვახასიათებს (რომელიც პლატონმა დაიწყო და რომელშიც ვცხოვრობთ) ერთადერთი და გარდაუვალი ჩვენთვის? თუ შესაძლებელია სხვა ყოფიერების სხვა გაგება, რომელიც საშუალებას მოგვცემს სხვა დროში (აიონში) ვიცხოვროთ? ანუ, შეგვიძლია თუ არა ჩვენი მომავალი გავანთავისუფლოთ ჩვენი წარსულისაგან, ხოლო ჩვენი წარსული ჩვენი მომავლისაგან? შეგვიძლია თუ არა ჩვენი ცხოვრება და ჩვენი მსოფლალქმა სხვა პრინციპებზე ავაწყოთ და ჩვენი გარემო სხვაგვარად მოვაწყოთ?

იმ დროს, როდესაც ჰაიდეგერი ამ კითხვას სვამდა, ეს თემა არ იყო პოლიტიკურად თუ ინტელექტუალურად აქტუალური და მისი გაჩენა უფრო ფენომენოლოგიის ბოლომდე მიყვანით იყო გამოწვეული. მაგრამ ცოტა ხანში, როდესაც ყველამ დაინახა რა იყო ნაციონალიზმი, როდესაც ჰაიდეგერი უკვე აღარ იყო ფრაიბურგის უნივერსიტეტის რექტორი და როდესაც მისთვის ცხადი გახდა, თუ რა მოაქვს შედეგად ჩვენს დროს, ანუ, ყოფიერების ჩვენეულ გაგებას, ამ კითხვამ მისთვის სახე იცვალა და მეტაფიზიკის გადალახვის აუცილებლობის და ამ გადალახვის გზების ძიების შესახებ დასმულ კითხვებად გადაიქცა. "მეტაფიზიკა" ჰაიდეგერისათვის ამ დროისათვის უკვე ნიშნავდა იმას, რასაც იგი ადრე "დროს" უწოდებდა - ყოფიერების გაგებას. იმ ძირითადს, რომელიც ჩვენი ყოფიერების და მუნ-ყოფიერების საფუძველი იყო.

ჰაიდეგერმა პირველად დასვა წარსულის მომავლისაგან განთავისუფლების **შესაძლებლობის** საკითხი. თუმცა თვითონ საბოლოოდ ამ კითხვაზე, ანუ, მეტაფიზიკის გადალახვის შესაძლებლობაზე უარყოფითად უპასუხა (სამი ლექცია მეტაფიზიკის შესახებ) - თქვა, 1) რომ დრო, ჩვენი ყოფიერების გაგება არის ყოფიერების ჰორიზონტი, ანუ, ის ერთადერთი კონსტრუქცია, პარადიგმა, იდეა, რომლის წვდომაც და რომელშიც ცხოვრება ჩვენ შეგვიძლია; 2) რომ მეტაფიზიკას ვერ გადავლახავთ, რადგანაც კვლავ მოვექცევით მეტაფიზიკაში. ამის შემდეგ, იმედგაცრუებულმა ჰაიდეგერმა (ფიურერის ხმა მართლაც

ყოფიერების ხმა რომ აღმოჩნდა) აღმოსავლეთში დაიწყო გადალახვის გზების ძიება. მაგრამ ეს უკვე ჰაიდეგერმცოდნეობის (Heideggerlehre - Heideggerleere) თემაა.

ჩვენთვის საინტერესოა საკონკურსო კითხვის შინაარსის ხელმეორე, უკვე კითხვის ფორმით შემოსვლა ცნობიერების ბიოგრაფიაში. ჰაიდეგერის ინტენციამ ეპოვა ყოფიერების არსებული გაგებისაგან, არსებული ცენტრალური დისკურსიდან გამოსავალი, თავი დაეღწია ეპისტემების დადგენილი მიმდევრობიდან, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მომავალში როგორც პოსტსტრუქტურალიზმი (ფუკო), ასევე დეკონსტრუქცივიზმი (დერიდა) და ახალი ემპირიზმიც (რორტი).

ჰაიდეგერის მიერ კითხვის დასმამ ძირითადი თემის ისეთივე ამოგლეჯა მოახდინა ინტელექტუალური სივრციდან, როგორც პოლიტიკიდან. ამ ამოგლეჯამ საბოლოოდ განსაზღვრა არალეგიტიმური და ლეგიტიმური გარემოს შეჭიდულობის და ურთიერთგადაფარვის დისკურსული ანარეკლი;

ჰაიდეგერმა შექმნა პრეცედენტი, თუ როგორ შეიძლება ლეგიტიმური დისკურსის (ამ შემთხვევაში გერმანული კლასიკური ფილოსოფიის და ფენომენოლოგიის) ცენტრალურ თემებზე უარის თქმით (და მაინც ამ დისკურსის ფარგლებში დარჩენით) არალეგიტიმურ თემებს გაუხსნა გზა, ანუ, გადღაბნო ძალაუფლება და ძალაუფლების წყარო. და ამით კიდევ უფრო გააფართოო ცოდნა-ლაბორინთის გავრცელების სფერო, არეალი: იმას, რაც მანამდე გვერდითად და მარგინალურად ითვლებოდა (მაგალითად ჯორჟ ბატაის ენები), მისცე საშუალება [ერთ დროს] ლეგიტიმურ სივრცეში შემოძვრეს ამოგლეჯილი თემის (თემების) ადგილას გაჩენილი ნახვრეტებიდან და გაფუვდეს.

ამ გზით თანდათან მოხდა ინტელექტუალური და სოციალური სივრცეების ჰარმონიზაცია, ანუ, მოიხსნა ის წინამდებეობა, რომელიც უნდა არსებობდეს "აზრსა" და "მატერიას" შორის. შედეგად - მივიღეთ სამყარო, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც შიზოფრენიული (ანუ, ვითარება, როდესაც არ არსებობს წინამდებეობა გაფიქრებულს და რეალურს შორის, როდესაც ისინი ჰარმონიულად არიან თანხმობაში და ურთიერთს ირეკლავენ). რაც განხორციელდა კიდევ დელიოზის და გუატარის ორტომეულში.

მარტინ ჰაიდეგერის მთელი ფილოსოფია შეიძლება აღიწეროს, როგორც მომავლის წარსულიდან განთავისუფლების და წარსულის მომავლიდან განთავისუფლების შესაძლებლობის კვლევა. ის, რომ თვითონ ჰაიდეგერმა ამ კითხვას უარყოფითად უპასუხა, ჩვენი გამოძიებისათვის არა აქვს მნიშვნელობა:

მთავარია მომავლის წარსულიდან, ხოლო წარსულის მომავლიდან განთავისუფლების შესაძლებლობის კვლევის ფაქტი, რომელიც დაიწყო ამ განთავისუფლების განხირციელებიდან სამი საუკუნის შემდეგ.

* * *

ლეგიტიმური გარემოს ნაჩერეტებში არალეგიტიმური სივრცე იჭყიტება. ეს სივრცე ჩიპებით და ინფორმაციული ტექნოლოგიის სხვა პროდუქტებითაა სავსე. რა თქმა უნდა, ვერ იტყვი, რომ ლეგიტიმური ზედაპირი ახალ ტექნოლოგიას არ იყენებს ან ვერ იყენებს; პირიქით - ლეგიტიმური სივრცე გაჯერებულია ახალი ტექნოლოგიებით. შეიძლება სწორედ ახალი ტექნოლოგიები და ქსელებია ის ერთადერთი რგოლი, რომელიც ამ ორ რეალობას აკავებს ერთმანეთზე და არ იწვევს მათ სხვადასხვა მხარეს გაცურებას უჰაერო (უძალაუფლებო) სივრცეში - ვაკუუმში.

ქსელი, რომელსაც ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები ქმნიან, არის რეალობის ახალი ბადე, რომელიც თანდათან რეალურად, და არა მეტაფორულად ერტყმის მსოფლიოს. ეს ბადე, რომლის კვანძებსაც შეადგენენ კომპიუტერები, მოდელები, ლოკალური და გლობალური ქსელები თანდათან სულ უფრო და უფრო გამოიყურება, როგორც ერთადერთი რეალობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ჩვენი ლეგიტიმური რეალობა, რომელიც საფუძვლად უდევს საყოველთაო ინსტიტუციონალიზაციას, ძირითადი და ცენტრალური თემების ამოგლეჯის გამო, თავად გამოიყურება, როგორც ბადე.

ეს ბადე ახალ ფენას ქმნის, რომლის უკანაც თანდათან იმალება და რომლითაც თანდათან ინიღბება ლეგიტიმური რეალობა. ის, რომ ინფორმაციული ბადე ხელშესახები ხდება (ხელშესახები იმდენად, რომ ფარავს ლეგიტიმურ რეალობას), მხოლოდ და მხოლოდ ამ ლეგიტიმური რეალობის სასარგებლო ქმედებაა. ამ შემთხვევაში ლეგიტიმური რეალობა ხდება და იქცევა როგორც **საფუძველი**. ამ ბადის წვერი ყოველი ჩვენგანია. ეს ბადე ასევე ხელს უწყობს მსოფლიოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და აქტივობების ურთიერთკავშირს. ნებისმიერი სასიცოცხლოდ აუცილებელი და არც თუ ისე

აუცილებელი ინფორმაციის მიღება და გადაცემა შესაძლებელია ინფორმაციული ბადის მეშვეობით¹⁷.

ლეგიტიმური გარემო და მისი ატრიბუტები, როგორებიცაა სახელმწიფო, ბიუროკრატია, პოლიცია, ჯარი და ა.შ. თანდათან უჩინარდება სულ უფრო და უფრო წვრილუჯრისანი ბადის უკან. შეიძლება თანდათან ისინი შეუმჩნეველნიც კი გახდნენ. მაგრამ ეს კიდევ უფრო გაამაგრებს მათ პოზიციებს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: ლეგიტიმური და არალეგიტიმური გარემო, ფენა, ერთმანეთს ადგილებს უცვლიან. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამოგლეჯილი თემების ნაჩვრეტებში არალეგიტიმური გარემო აფუებული ცომივით ამოვიდა და გადაფარა ლეგიტიმური ფენა. თანდათან ამ გადაფარვის ნიშნები აშკარა ხდება: სულ უფრო და უფრო ხორციელდება პოლიტიკაში ჩართულების და **სხვების** (არალეგიტიმური აქტორების - ჰაკერების, ახალი "ჰიპების", მოგზაურების და ა.შ.) დაახლოება და პოლიტიკოსების გადაღვანა ლეგიტიმურ ფენაში. ხოლო **სხვები** სულ უფრო და უფრო ხდებიან [ბიუროკრატის] ცოდნა-ლაბირინთში ჩათრეულები¹⁸.

* * *

ახლა დაფიქრდეთ 1998 წლის ვაიმარულ კითხვას: "მომავლის წარსულიდან განთავისუფლება? წარსულის მომავლისაგან განთავისუფლება?".

როგორც კითხვის გამოკვლევამ გვიჩვენა, ჯერ განხორციელდა ამ კითხვის შინაარსი, შემდეგ გამოიკვლიეს ამ შინაარსის განხორციელების შესაძლებლობა. ხოლო დღეს, ჩვენს გვერდით და ჩვენთვის, ეს კითხვა სრულად ისმის: მასში იგულისხმება როგორც საბოლოო პროგრამა, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში განხორციელდა, ასევე კითხვა ამ შინაარსის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში დაიწერა.

ასეთი სურათი მიგვითითებს, რომ ამ აღწერილი პროცესის ორგვარი განხილვაა შესაძლებელი: პირველი ვარიანტი არის ტრადიციული, ანუ, ქრონოლოგიური; ამ პროცესის ქრონოლოგიური აღწერა მოგვიყვება, რომ პირველად წარსულის მომავლიდან განთავისუფლება და პირიქით, ანუ ყოფიერების ერთი გაგებიდან სხვა გაგებაზე გადასვლა გააკეთეს

¹⁷ და არა მარტო ეს: ბადის მეშვეობით შეიძლება სრულფასოვნად იცხოვრო, ისე, რომ არაფერი არ დაიკლო.

¹⁸ ისევე, როგორც 70-იანი წლების ჰიპების უმრავლესობამ სახელმწიფო სამსახურში დაამთავრა, ასევე, შეიძლება ვთქვათ, რომ ჰაკერის ბოლო არის NACA ან CIA.

განმანათლებლებმა¹⁹. შემდეგ, როდესაც ახალი სამყაროს, ყოფიერების გაგების, ახალი პარადიგმის ნაკლი და ხიფათი გამოვლინდა, მსგავსი პროგრამა დაისახა მარტინ ჰაიდეგერმა, რომელმაც ყოფიერების გადალახვის შესაძლებლობას უარყოფითი დიაგნოზი დაუსვა. დღეს, როდესაც ცხადი ხდება თემატურობის და ცენტრალური თემის საჭიროება, კითხვა მომავლის წარსულიდან და წარსულის მომავლიდან განთავისუფლების შესახებ კიდევ ერთხელ დგება.

ქრონოლოგიურ მიდგომაზე დამყარებული განხილვით, დასმული კითხვა "მომავლის წარსულიდან განთავისუფლება? წარსულის მომავლიდან განთავისუფლება?" გვთავაზობს ყოფიერების გაგების გადალახვის შესაძლებლობის კვლევას. პასუხიც შესაბამისად ორ პოლუსს შორის იშლება: ერთი პასუხია, რომ გადალახვა შესაძლებელია და ამ შემთხვევაში უნდა ველოდოთ სოციალ-პოლიტიკურ-ფილოსოფიურ მოდელს, რომელიც მიგვითითებს ყოფიერების ახალი გაგებისაკენ მიმავალ გზებს, ხოლო მეორე პოლუსზე კი მოთავსდებიან ის პასუხები, რომლებიც იტყვიან, რომ ჩვენს გარემოში შეუძლებელია წარსულის მომავლიდან და მომავლის წარსულიდან განთავისუფლება და რომ ის სიტუაცია, რომელშიც ვცხოვრობთ, არის ისტორიის დასასრული (კოჟევის და ფუკოიამას აზრით), რომ ჩვენ მუდამ მოგვიწევს ცხოვრება თემატურობადაკარგულ მრავალთემიან გარემოში. ეს გარემო ხედვის კუთხის და ვითარების მიხედვით ხან ახალი შუა საუკუნეების (ეკო) სახეს მიიღებს, ხან კი **სხვის** ძიების და გაგების აუცილებლობას დაგვანახებს (ლევენასი).

პასუხი, საითკენაც ქრონოლოგიური განხილვა გვიბიძგებს, აუცილებლად ექცევა სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროგნოზირების სიბრტყეში. ქრონოლოგიურ განხილვა, რომელიც ჩვენი გარემოს ძირითადი განხილვაა, ასეთი პასუხებითაა დახუნძლული. სწორედ ქრონოლოგიური განხილვის გამო შეიქმნა ჩვენი დროის ყველაზე უფრო მიღებული და გავრცელებული **prejudice**-ი, რომელსაც "ისტორიის დასასრული" ჰქვია, და რომელზეც დაყრდნობითაც მეოცე საუკუნის ინტელექტუალურ ისტორიას შეიძლება "იონანეს გამოცხადების ქრონიკები" დავარქვათ.

მეორე განხილვა არის სიუჟეტური განხილვა, რომელიც გვეუბნება, რომ ის ამბავი, რომლის გადმოცემაც დაიწყო მეჩვიდმეტე საუკუნეში, დღეს, ჩვენს

¹⁹ ან პლატონმა, "გამოქვაბულის მითის" საშუალებით ან სხვა ვინმემ.

გვერდით დამთავრდა; ანუ, დასრულდა გადალახვის სიუჟეტი. ასეთი განხილვა გვეუბნება რომ ჩვენს გარემოში დასმული საკონკურსო შეკითხვის იქით გზა აღარ არის, რომ "რეალურად" ჩვენ მიმართული ვართ არა ჩვენს ქრონოლოგიურ მომავალზე, არამედ ჩვენს ქრონოლოგიურ წარსულზე, ანუ, იმ დროზე, როდესაც განმანათლებლებმა განახორციელეს დიდი განთავისუფლების აქტი. სიუჟეტური განხილვა, რომელიც გვეუბნება, რომ ჯერ მოხდა წარსულის მომავლისაგან და მომავლის წასრულისაგან განთავისუფლება, შემდეგ დაიწყო ამ განთავისუფლების შესაძლებლობის კვლევა, ხოლო ბოლოს კი დაისვა კითხვა ამ განთავისუფლების შესახებ, გვიბიძგებს სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ფილოსოფიური პასუხისაკენ. ოღონდ ეს პასუხი თანამედროვე ქსელების, თემატურობის გაქრობის, ცენტრალური თემის დაკარგვის და ლეგიტიმურ-არალეგიტიმური გარემოს შეჭიდულობის გამო ქანქარებს თემატურობის დაბრუნებასა და არათემატურ, მრავალთემიან არსებობას შორის.

თემატურობის დაბრუნება ნიშნავს პოლიტიკის, როგორც თემატურობის აღდგენას: ანუ, მცდელობას კვლავ ვიპოვოთ ცენტრალური თემა, რომელიც შეკრავს ჩვენს ინფლაცირებად²⁰ გარემოს და დააბრუნებს გადაბნილ და გაბნეულ ძალაუფლებას. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ასეთი მოდელი პრინციპულად არ განსხვავდება მეჩვიდმეტე საუკუნის განმანათლებლობის შემდგომი გარემოსაგან. და რომ შესაძლებელი პასუხის ასეთი ინტენცია გვაბრუნებს ჩვენს ქრონოლოგიურ წარსულში.

არათემატური არსებობა ნიშნავს იმის აღიარებას, რომ შეუძლებელია თემატურობის და ცენტრალური თემის დაბრუნება, და რომ ჩვენ იძულებული ვართ დავრჩეთ ბიუროკრატია-ლაბირითის ქარიზმდაბრუნებულ გარემოში, მრავალი ცენტრით და მიმართულებით. ასეთი არსებობა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს უმბერტო ეკო, წააგავს შუა საუკუნეების ვითარებას და იმ ადგილის არჩევას, რომელიც ქრონოლოგიურად და სიუჟეტურადაც დგას მეჩვიდმეტე საუკუნემდე.

ეს არის ის ორი პოლუსი, რომელშიც მიმოიქცევა პასუხი, თუკი საკონკურსო კითხვას და მისი წარმოქმნის პროცესს სიუჟეტურად განვიხილავთ.

²⁰ ინფლაცია არა ეკონომიკური, არამედ თანამედროვე ფიზიკის აზრით, როდესაც კოსმოსის ინფლაცია ნიშნავს კოსმოსის შემადგენელი ნაწილების შეუქცევად დაშორებას ერთმანეთისაგან.

როგორც ვხედავთ, ქრონოლოგიურმა და სიუჟეტურმა განხილვებმა დიდი განსხვავება ვერ მოგვცა. მაგრამ ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ მიზმი ვართ იმ **prejudice**-ზე, რომელიც მიხედვითაც ასეთ კითხვაზე პასუხი ეკონომიკურ-პოლიტიკურ-სოციალურ-ფილოსოფიური მოდელის ან ამ მოდელისკენ მიმავალი გზების შემუშავებაა.

მაგრამ სიუჟეტური განხილვა კიდევ ერთ საინტერესო შესაძლებლობას გვთავაზობს: თუკი მივიღებთ ფანტასტიკურ იდეას, რომ მომავლის წარსულიდან, ხოლო წარსულის მომავლიდან განთავისუფლების პროცესი სიუჟეტურ დროში განვითარდა, დავინახავთ, რომ გზა საკონკურსო კითხვის იქით აღარ არსებობს.

სიუჟეტური განხილვა მიგვითითებს მხოლოდ ჩვენს წარსულზე და სხვა არაფერზე. ეს ინტენცია კი თავის მხრივ გვეუბნება, რომ კითხვაზე პასუხი, რომელიც სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ფილოსოფიურ სიბრტყეში დევს, ახალს ვერაფერს მოგვიტანს და თუ ამ ინტენციას დავმორჩილდებით, მუდამ ვიჭრიალებთ შუა საუკუნეების და მეჩვიდმეტე საუკუნეში შემუშავებულ მოდელებს შორის.

* * *

ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ფილოსოფიური პასუხის სიდუხჭირის გამო, არის ისეთი "მოდელის" შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს (და მისცემს სხვას) **სხვა** ადგილიდან დავინახოთ ის, რაც ჩვენს, როგორც სიუჟეტის პერსონაჟების და ამ სიუჟეტის ბოლო თემის - საკონკურსო კითხვის - იქით, უკან დგას. მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს "მოდელი"?

რამდენად არის დღეს შესაძლებელი პოლიტიკური თუ სოციალური რეცეპტურის შემუშავება? წამლის (ფარმაცონის) შედგენა, რომელიც აუცილებლად გადაიქცევა სა-წამლად (საწამლავად)? როდესაც წამლება წამლის საშუალებით მოწამვლად გადაიქცევა? რამდენად პროდუქტიული და კონსტრუქციული იქნება ამ გზით აზრის და აზროვნების გაშლა, როდესაც ყოველთვის გვაქვს ხიფათი უკვე ნათქვანში და აღმდგარში მოვექცეთ?

კითხვა "მომავლის წარსულიდან განთავისუფლება? წარსულის მომავლიდან განთავისუფლება?" ჩვენს გარემოში ბუნებრივად და თავისთავადგასაგებად მიგვითითებს, რომ პასუხი სოციალურ-პოლიტიკური ანალიზი და პროგნოზი უნდა იყოს, რომ პასუხი უნდა მოთავსდეს სოციალური აზროვნების, სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიის ფარგლებში. იმ ხიფათების ფონზე, რომლებსაც

მივადექით, სწორედ ეს თავისთავადგასაგებობაა დამაფიქრებელი. რამდენადაა შესაძლებელი გავცეთ ამ კითხვას ისეთი პასუხი, რომელიც არ დაგვტოვებს მოქანქარედ უკვე განხორციელებულ შუა საუკუნეებსა და უკვე მომხდარ გარღვევას (უკვე შეცვლილ პარადიგმას) შორის?

ისეთი პასუხი, რომელიც ერთსა და იმავე დროს სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსში იქნება, და ამავე დროს გაგვიყვანს იმ სამსაუკუნოვანი ისტორიის მიღმა, რომელიც 1998 წლის საკონკურსო კითხვით იწყება და XVII საუკუნეში განხორციელებული განმანათლებლური გარღვევით მთავრდება, შეუძლებელია. ის დისკურსი, რომელიც ლაპარაკობს პარადიგმების და ეპისტემების შესახებ, იმუშავებს ისტორიის დასასრულის იდეას და ეწევა ჩვენს გვერდით მყოფი "ფენომენების" არქეოლოგიას, ქმნის მომავლის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგნოზებს, წერს ყოფიერების გაგების გადალახვაზე, მთლიანად იმ ისტორიაში ზის და იმ სიუჟეტის პროდუქტია, რომელიც საკონკურსო კითხვის დასმამ შემოხაზა და შეკრა.

პასუხი, რომელიც ამავე დროს დასმული კითხვიდან და დასრულებული სიუჟეტიდან თავის დაღწევა იქნება, იმ მიჩუმათებულ და რეპრესირებულ სფეროში უნდა ვეძიოთ, რომელიც მუდამ ცხადდებოდა ონტოლოგიის და ძირითადი ფილოსოფიის დამატებად და რომელსაც თავისთავადი წარმოშობა და თავისთავადი ღირებულება არასოდეს არ ჰქონია.

ველი, სადაც შეიძლება "პასუხი" იმყოფებოდეს, არის ეთიკა. ოღონდ არა ისეთი ეთიკა, რომელიც კონკრეტულ პარადიგმას და დისკურსს შეესაბამება. ამ შემთხვევაში ის მხოლოდ დისკურსული პროდუქტი იქნება და მეტი არაფერი. იგი ისევე ჩაჯდება არსებულ ისტორიაში, როგორც ჰიპოთეტური სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ფილოსოფიური პასუხი. მხედველობაში მაქვს არა ის ეთიკა, რომელიც ყოველ კონკრეტულ ადამიანს ზოგადი იმპერატივის შესრულებისაკენ მოუწოდებს, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ **ამ დისკურსში და ყოფიერების ამ გაგებაში** ასეთი ქცევა უნდა იყოს. აქაც, ისევე, როგორც ყველაზე უფრო ერთგულ და თანამომდევრულ ექსისტენციალიზმში (არაფერი რომ არ ვთქვათ სხვა ფილოსოფიებზე და სწავლებებზე), დაიკარგება კონკრეტული მე, კონკრეტული სახელით და გვარით, კონკრეტული **შენ**, ასევე

კონკრეტული სახელით და გვართ, და ასევე კონკრეტული ის, ასევე კონკრეტული სახელით და გვართ²¹.

ფილოსოფიის და საერთოდ აზროვნების რეპრეზენტაციულობაზე მიმართულობის უარის თქმა, იმის დანახვა, თუ რა მდებარეობს ჩვენი ისტორიის დასაწყისის უკან (**ანუ, ჩვენი სიუჟეტის დასასრულის შემდეგ**), შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ეთიკით, რომელიც პირველად თავისი არსებობის მანძილზე გახდება თავისთავადი და არ იქნება გამომდინარე არცერთი პარადიგმა-დისკურს-ეპისტემესაგან. თუკი ეს განხორციელდება, ასეთი ეთიკა ავტომატურად "გამოვა" მიმართული კონკრეტულ **მე, შენ, ის-**ზე, კონკრეტული სახელებითა და გვარებით, იმიტომ, რომ სხვა გზა უბრალოდ აღარ არის დარჩენილი.

ამ ეთიკის კონსტრუირება, როგორც ვნახეთ, შესაძლებელია დავიწყოთ აზროვნების რეპრეზენტაციულობის უარყოფით და პარადიგმა-დისკურს-ეპისტემეზე უარის თქმით.

აზროვნების რეპრეზენტაციულობა და ჩვენი პარადიგმა-დისკურს-ეპისტემე მიუთითებს მრავალცენტრულ და მრავალფენიან სამყაროზე. დღეს, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს გარემოში შესაძლებელია დააკვირდე ყველა (ან თითქმის ყველა) იდეას, თეორიას თუ ჯგუფს, რომელთაც ოდესმე უარსებით კაცობრიობის "ბიოგრაფიის" მანძილზე²². ყველას აქვს საშუალება მოძებნოს თავისი ჯგუფი, სადაც კომფორტულად და წყნარად იგრძნობს თავს. ეს სიტუაცია, მთლიანად

²¹ ეგზისტენციალიზმი და ეგზისტენც-ფილოსოფია, რომელიც მართალია მუნყოფიერებაზე იწყებს ლაპარაკს, მაინც ვერ ძლევს კანონის და აღწერის ზოგად ბუნებას: **Da-sein-**ზე, როგორც კონკრეტულობაზე, ლაპარაკი მაინც წარმოგვიდგენს მას არა როგორც რაიმე და ვიღაც კონკრეტულს, არამედ ამ კონკრეტულის რეპრეზენტატორს. ამ ვითარებას, ანუ, ფატალურ უყურადღებობას კონკრეტული ადამიანის მიმართ, რომელსაც კონკრეტული სახელი და გვარი გააჩნია, ვერც ლევენასის მიერ **სხვის** შემოტანა შევლის: მისი ონტოლოგიური ეთიკა ისევ და ისევ მრავალპოლარულობის და უცენტრობის, ძირითადი თემის ამოგლეჯილობის და ინფორმაციული ბადის ნაწარმოები შედეგია.

²² მე შეგნებულად ვიყენებ სიტყვა "ბიოგრაფიას", რომელიც მიუთითებს წრფევ და ციფერბლატურ დროში წინ მოძრაობას. ბიოგრაფიისაგან განსხვავდება "ისტორია", ამბავი, რომელიც არ არის აუცილებელი მანდამაინც დროში მიმდევრობით გადმოიცეს.

ჯდება" ჩვენი დროის პარადიგმაში და დისკურსულობაში. ყოველ ამ ჯგუფს თავისი ეთიკა და ესთეტიკა²³ აქვს.

ეთიკა, რომელიც ამ ვითარების უარყოფაზე იქნება მიმართული, უნდა გულისხმობდეს ამ ვითარების, ანუ, აღმდგარი და არსებული ჯგუფების და იდეების აპოკალიფსურობის ანუღირებას. ოღონდ ანუღირებას არა განადგურების აზრით.

ეს ეთიკა, რომელიც ცდილობს საკონკურსო კითხვის უკან (ანუ, სიუჟეტის დამთავრების შემდეგ) არსებული გზა დაინახოს, მიუთითებს მრავალცენტრულობისა და მრავალიდეურობის გაუქმებზე, მათთვის მნიშვნელობის, ანუ, ცენტრულობის წართმევით. კონკრეტული მე, შენ, ის-თვის ეს წართმევა უნდა გამოიხატოს სხვადასხვა ჯგუფების (მაშასადამე იდეების) მაქსიმალური ცვლით, როდესაც არ ფიქსირდები ერთ ცენტრში და გადადიხარ მეორეში, შემდეგ მესამეში და ა.შ.

ამ მოგზაურობით უქმდება "ცენტრი", რადგანაც ცენტრში ყოფნა კარგავს აზრს. ამ მოგზაურობით უქმდება "იდეა" და "თეორია", რადგანაც ისინი კარგავენ სიმყარეს და კონკრეტულ მიმდევრებს, მათი მუდმივი ცვლის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი თემის ამოგლეჯის შემდეგ სამყარო მრავალცენტრული და მრავალდისკურსული გახდა, კონკრეტული ადამიანისათვის არაფერი შეცვლილა: ის ისევე აკეთებს არჩევანს და ისევე ექცევა ცენტრის დიქტატის ქვეშ. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ასეთი ცენტრები, რომლებიც ადრე ერთი იყო, ახლა მრავალია.

ახალი ეთიკა, რომელიც მაქსიმალური ცვლილებისაკენ მოუწოდებს, შეიძლება სიმუღირდეს ერთი ჯგუფის და ერთი ცენტრის სფეროში ადგილების სწრაფი ცვლით. მაგრამ სწორედ აქ შემოდის ეთიკურობის თემა - ეთიკურად და არაეთიკურად ქცევის არჩევანი.

ამ ახალი ეთიკით, რომელიც განსხვავებით ძველი ეთიკებისაგან, არაფერს არ ავალდებულებს კონკრეტულ ადამიანს და არ აიძულებს ადამიანებს ერთი საერთო მიზანი ქონდეთ (როგორც, მაგალითად, კანტის კატეგორიული იმპერატივის შემთხვევაში), კონკრეტული ადამიანს, ვინმე X Y-ს ეძლევა საშუალება თვითონ აირჩიოს საკუთარი გზა, გადაწყვიტოს თუ სად დატოვოს

²³ ესთეტიკა არა ბაუმგარტენის, არამედ ბერძნული სიტყვის [აისტეზის - კვალი, ანაბეჭდი] მნიშვნელობით. ანუ, ის გზა, რომელიც ინდივიდმა უნდა გაიაროს დისკურსულობაში მოხვედრისათვის.

საკუთარი კვალი და ამის შემფასებელი არავინ არ იქნება თითონ ამ კონკრეტული ადამიანის გარდა.

სტიმული, რომელიც მას აიძულებს ახალი ეთიკის მიხედვით იმოქმედოს, ასევე არ იქნება რომელიმე ძველი ეთიკის სტიმულის ანარეკლი: არამც თუ ღმერთი, სხვა ადამიანების პატივისცემის დამსახურებაც შეუძლებელი იქნება, ერთი მხრივ ჯგუფების სწრაფი ცვლილების, ხოლო მეორე მხრივ იმ ადამიანების განსხვავებულობის გამო, რომელსაც ის მოგზაურობისას შეხვდება.

სტიმული ამ შემთხვევაში ერთადერთი შეიძლება იყოს: გადაწყვეტილება იცხოვროს ერთადერთი შესაძლებელი სხვა ცხოვრებით, რომელიც სწორედ ამ ცხოვრების პროცესში გაიყვანს მას პარადიგმა-დისკურსულობის იქით და საშუალებას მისცემს არ მოექცეს რომელიმე ცენტრის დიქტატის ქვეშ, რომელიმე დისკურსის ტყვეობაში.

ახალი ეთიკა არის ერთადერთი გზა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ქცევა, ანუ, man-ურობიდან და შიზოფრენიულობიდან თავის დაღწევა.

მთავარი, რაც არის ასეთი ახალი ეთიკის დამსახურება, მდგომარეობს მის შეუმოწმებლობაში. ანუ, მისი შესრულებით რაიმე საზოგადოებრივის მიღწევის შეუძლებლობაში. არ არსებობს, და არც იარსებებს წერტილი, საიდანაც შესაძლებელი გახდება შეამოწმო ახალი ეთიკის მიხედვით ქცევა და განაჩენი გამოიტანო. ქცევის შემოწმება და ეთიკური ქცევის განაჩენის გამოტანა მთლიანად იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინც გადაწყვეტს ახალი ეთიკის მიხედვით იმოქმედოს²⁴.

მთავარი ის არის, რომ დღეს ამ ეთიკის მიხედვით მოქმედება შესაძლებელია; დღეს არსებობს იმის პირობები, რომ იმ ადამიანმა, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს, დაიწყოს მოგზაურობა ჯგუფებში თუ იდეებში (ამის საშუალებას იძლევა ის ქანქარი შუა საუკუნეებსა და განმანათლებლების დროს შორის, ზემოთ რომ აღვწერეთ).

²⁴ ამ ახალი ეთიკის შესაძლებელ განხორციელებაზე ისიც მიუთითებს, რომ მსგავსი და იდენტური მოქმედება შეიძლება ვნახოთ ჩვენს წარსულშიც და ჩვენს გარემოშიც: ასეთი აქტიობაა თინეიჯერული მოგზაურობა საკუთარი თავის აღმოჩენისათვის და ასევე, ჰიპური მოძრაობა. მაგრამ ამ შემთხვევებში ეს აქტიობა, როგორც წესი, სასურველი ჯგუფის და მისაღები სოციალური ადგილის პოვნისას წყდება. ახალი ეთიკური "იმპერატივის" მთავარი პრინციპია ამ მოძრაობის პრინციპული უწყვეტობა, რაც ისევ "ახალი ეთიკური სუბიექტის" გადაწყვეტილებების სფეროში დევს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება მისი მოქმედება ამბავი და აღარ იქნება რიტუალი. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, ადამიანი, მუნყოფიერება შეიცვალოს ისევე, როგორც იცვლება ცნობიერება - უკონფლიქტოდ²⁵. იმის გამო, რომ არსებული თეორიები და ჯგუფები გადაწყვეტილება მიღებული ადამიანისათვის დაკარგავენ მნიშვნელობას, ამ ადამიანში აღარ მოხდება ინტელექტუალური და ფიზიკური პოზიციის ცვლასთან დაკავშირებული კონფლიქტი.

რაც შეეხება გადაწყვეტილებას: ეს გადაწყვეტილება, რომელიც ახალი ეთიკის მიხედვით კონკრეტულმა X Y-მა უნდა მიიღოს, არის გადაწყვეტილების ერთადერთი დარჩენილი სახე. ამ გადაწყვეტილებას შეუძლია გადაიყვანოს ის იმ ისტორიის დასაწყისის იქით, რომელიც საკონკურსო კითხვის დასმით იწყება და მეჩვიდმეტე საუკუნეში მიყვაროთ; გაიყვანოს იმ სიუჟეტს მიღმა, რომელიც სრულდება საკონკურსო კითხვის დასმით.

ახალი ეთიკა არ პირდება გადაწყვეტილების მიმღებს არც სასუფეველს და არც მიწიერ დიდებას. ის პირდება ერთადერთ რამეს: ნამდვილ ქცევას, რაც ნიშნავს ისტორიისა და სიუჟეტის მიღმა გასვლას, რომლის მონაწილეები ყველანი ვართ. ეს გასვლა ყველა კონკრეტული გადაწყვეტილებისათვის **სხვა** იქნება.

მეორე მხრივ, ამ იდეის პოპულარობის შემთხვევაში, შესაძლებელია მისი ფორმალიზება და CV-ში ჩატენვაც. მაგრამ ჯგუფი, სადაც ამ ეთიკის ფორმალიზება შესაძლებელი იქნება, არის "ცენტრალური", ლეგიტიმური ბიუროკრატია. ამ უკანასკნელის მიტოვებაც გადაწყვეტილების მიმღების მიერ ისევე წაართმევს ამ ბიუროკრატიას მნიშვნელობას, როგორც ნებისმიერ სხვა ჯგუფს.

²⁵ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნობიერების კონფლიქტი, ანუ, მოფიქრებული რთული კონსტრუქციები [თუზისი, ანტითუზისი, სინთუზი, მე და არა-მე და სხვა] სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, სხეულებრივი, მყარი კონგლომერატების შეუთავსებლობის მარტივი და ცრურწმენული გადატანა ცნობიერების დონეზე. თავად ცნობიერებაში და იდეების ისტორიაში არაფერია ისეთი, რაც მიგვითითებდეს ცნობიერებაში არსებულ იდეათა კონფლიქტზე. თავად ცნობიერებაში ცვლილება ხდება დაპირისპირებების და "სისხლის გარეშე". იქ არ არსებობს დაწერილი და არმიით დაცული იდეები. ცნობიერების კონფლიქტი და კონფლიქტი ცნობიერებაში არის ლიტერატურული ხერხი, რომელიც აღწერს ცნობიერებაში სხვად ქცევის პროცესს.